საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1120 2013 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

გარდაბნის მუნიციპალიტეტში პროექტების განხორციელების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გამოუყოს 2 523 324.0 (ორი მილიონ ხუთას ოცდასამი ათას სამას ოცდაოთხი) ლარი, მათ შორის:

ა) სოფელ სართიჭალაში შიდა გზების მოასფალტებისათვის – 643 323.0 (ექვსას ორმოცდასამი ათას სამას ოცდასამი) ლარი;

ბ) ქ. გარდაბანში ბორდიურების მოწყობისა და შიდა გზების მოასფალტების მიზნით – 501 380.0 (ხუთას ერთი ათას სამას ოთხმოცი) ლარი;

გ) სოფელ გამარჯვებაში შიდა გზების მოასფალტების მიზნით – 458 032.0 (ოთხას ორმოცდათვრამეტი ათას ოცდათორმეტი) ლარი;

დ) სოფელ ლემშვენიერაში შიდა გზების მოასფალტების მიზნით – 400 589.0 (ოთხასი ათას ხუთას ოთხმოცდაცხრა) ლარი;

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
№ 8808 "27" 08 2013 წ.
1 ფურცელი

ე) სოფელ კრწანისში შიდა გზების მოასფალტების მიზნით – 260 000.0 (ორას სამოცი ათასი) ლარი;

ვ) სოფელ კუმისში შიდა გზების მოასფალტების მიზნით – 120 000.0 (ას ოცი ათასი) ლარი;

ზ) სოფელ თელეთში შიდა გზების მოასფალტების მიზნით – 100 000.0 (ასი ათასი) ლარი;

თ) სოფელ ფოლადაანთკარში ხიდისა და ბოგირის მოწყობის მიზნით – 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი

საქართველოს მთავრობის კანცელარია
№1